მასშტაბის ეკონომიის თეორია გამოიყენება წარმოების სისტემებში შედეგისა და ეფექტიანობის ასახსნელად. მასშტაბის ეკონომია ამტკიცებს, რომ ერთეულის ღირებულება მცირდება გამომუშავების მოცულობის ზრდასთან ერთად (Gaynor et al. 2005). აღნიშნული კავშირი ღირებულება და მოცულობას შორის რამდენიმე მექანიზმით აიხსნება, მათ შორის, მოცულობის ზემოქმედებით ფიქსირებულ ხარჯებზე, რესურსების სპეციალიზაცია და მომწოდებლების მიმართ ბაზარზე არსებული პოზიციებით. მეორე მხრივ, მასშტაბის ეკონომია, როგორც წესი, დაკავშირებულია ფენომენთან, რომლის დროსაც საქონლის/მომსახურების ერთეულის ღირებულება მცირდება, როდესაც იზრდება წარმოების მოცულობა (Bernet & Singh, 2015) [1]. დანახარჯების კომპლემენტარულობა (ერთიერთშემავსებლობა) ნიშნავს, რომ მას შემდეგ, რაც რესურსები გამოყენებულ იქნება ერთი საქონლის/მომსახურების წარმოებისთვის, ისინი ხელმისაწვდომი ხდება, დამატებითი ხარჯების გარეშე, სხვა საქონლის წარმოებაში გამოსაყენებლად. მასშტაბის ეფექტი ამ მხრივ გულისხმობს, რომ უფრო მომგებიანია სხვადასხვა საქონლის/მომსახურების წარმოება ერთ მსხვილ ერთეულში, ვიდრე რამდენიმე სპეციალიზებულ საწარმოო ერთეულში.

ჰოსპიტალურ სექტორში, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დარგებში, მნიშვნელოვანია მასშტაბის ეკონომია, რომლის მიხედვით, სამედიცინო მომსახურების მოცულობის გაზრდა შესაძლებელია საშუალო ხარჯების შემცირებით და ხარისხის ზრდით. ჯანდაცვის სფეროში ჩატარებული მრავალი კვლევის შედეგი მხარს უჭერს მასშტაბის ეკონომიის ფენომენის არსებობას (Giancotti და სხვ., 2017) [2], მაგრამ ჯანდაცვის სექტორში მასშტაბის ეკონომიის კონცეფციების პრაქტიკაში გამოყენება უფრო რთული ხდება. საქმიანობაში მდგომარეობს, რომ სამედიცინო მომსახურების მოცულობისა და ხარჯების ურთიერთკავშირის დადგენა რთულია, რადგან საავადმყოფოები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სპეციალიზაციის დონის, პაციენტთა შემადგენლობის და სხვა პარამეტრების მიხედვით, რომლებიც გავლენას ახდენენ ხარჯების მოცულობაზე. ნაშრომში განხილულია ჯანდაცვის სექტორში მასშტაბის

ეკონომიკის თავისებურებები, სამედიცინო მომსახურების მოცულობის დამოკიდებულების სირთულე განუვალ ხარჯებსა და ხარისხზე.

საავადმყოფოს ეფექტიანობა

საავადმყოფოს შედეგების ეფექტიანობის შეფასება განისაზღვრება რაოდენობრივი და ხარისხობრივი პარამეტრებით. გამოყოფენ ხარისხის სამ ასპექტს: 1. რესურსების ხარისხი – ინვესტიციური და ადამიანური რესურსები, მათ შორის, სამედიცინო პერსონალის კომპეტენციების დონე. 2. სერვისების განვითარების პროცესის ხარისხი – გამოყენებული სამედიცინო ტექნოლოგიები, სამედიცინო სტანდარტებთან შესაბამისობა, მკურნალობის ინტენსიურობა, პაციენტების მომსახურების დონე. 3. კლინიკური შედეგის დონე – პაციენტის მკურნალობის გამოსავალი (ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხარისხი).

სამედიცინო ბაზარზე საავადმყოფოების ფუნქციონირების შესწავლისას განიხილება ეფექტიანობის 2 მთავარი ასპექტი:

1. **ტექნიკური (ლოკალური) ეფექტიანობა** – რესურსებსა და წარმოებულ პროდუქტს შორის შეფარდება, მაგალითად, პერსონალის რაოდენობის შეფარდება განუვალ სერვისის მოცულობაზე (საავადმყოფოში მკურნალობის შემთხვევების რაოდენობა და სტრუქტურა). ტექნიკურ ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს საავადმყოფოს მოცულობა, გამოყენებული სამედიცინო ტექნოლოგიები, აგრეთვე, ორგანიზაციის და თითოეული მუშაკის მოტივაცია;
2. **ალოკაციური ეფექტიანობა** – რესურსების განაწილების სხვადასხვა მიმართულებებს შორის თანაფარდობა, რომლებიც განსაზღვრავს ხარჯების სტრუქტურის რაციონალურობას ალტერნატიული ხარჯების გათვალისწინებით. შესაძლებელია ტექნიკური და ალოკაციური ეფექტიანობის სხვადასხვა ტენდენციები. მაგალითად, საავადმყოფოს საქმიანობის ტექნიკური ეფექტიანობის ზრდას იმ შემთხვევების მკურნალობისას, რომლებიც არ მოითხოვენ ჰოსპიტალიზაციას (გაურთულე-

ბელი პნევმონია, რომლის მკურნალობა შესაძლებელია ამბულატორიულად შეიძლება თან სდევდეს ალოკაციური ეფექტიანობის შემცირება – რესურსების საგრძნობი კონცენტრაცია ჰოსპიტალური მომსახურების სფეროში.

სამედიცინო მომსახურების ორგანიზაცია არსებითად განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, თუმცა შესაძლებელია გამოიყოს საავადმყოფოების ფორმირების მთავარი ტენდენციები:

- საავადმყოფოების დიდი ნაწილის გარდაქმნა მსხვილ კომპლექსებად, სადაც იყენებენ რთულ და ძვირადღირებულ სამედიცინო ტექნოლოგიებს;
- სტაციონარული მომსახურების ზოგი სახის გადატანა ამბულატორიულ დონეზე;
- მკურნალობის ინტენსივობის გაზრდა და, როგორც შედეგი, პაციენტების სტაციონარში დაყოვნების შემცირება;
- საწოლთა ფონდზე მოთხოვნის შემცირება და საავადმყოფოებში რთული დაავადებების მკურნალობაზე რესურსების მზარდი კონცენტრაცია;
- ჰოსპიტალიზაციის თითოეულ შემთხვევაზე რესურსების გაჯერების სწრაფი ზრდა.

მიუხედავად საწოლთა ფონდის შემცირების საერთო ტენდენციისა, განვითარებულ ქვეყნებში ჯანდაცვის მთლიან ხარჯებში ჰოსპიტალური სექტორის ხარჯების წილი ბოლო 20 წელი საკმაოდ სტაბილურია და შეადგენს 20-35%-ს. შედარებისათვის, საქართველოში იგი 60%-ს აჭარბებს, რაც არის ჰოსპიტალიზაციის მაღალი დონის და პაციენტის ხანგრძლივი დროით მკურნალობის შედეგი.

სხვა ზოგად ტენდენციას წარმოადგენს ჰოსპიტალური მკურნალობის ხანგრძლივობის შემცირება. 10000 მოსახლეზე ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით. ზოგ ქვეყნებში იგი მცირდება (1990-2005 წლებში კანადაში შემცირდა 32%-ით, შვეციაში – 10%-ით), ზოგ ქვეყნებში კი იზრდება (ბრიტანეთში იმავე პერიოდში 41%-ით გაიზარდა, ესპანეთში – 14%-ით, ნორვეგიაში – 20%-ით) (OECD, 2007) [3].

სამედიცინო პერსონალის რაოდენობა ერთ საწოლთან მიმართებით ევროპის ქვეყნებში გაიზარდა 1990-2005 წლებში (ყველაზე

მინიმალური იყო გერმანიაში – 6%, მაქსიმალური ბრიტანეთში – 2.6 ჯერ (OECD, 2007) [4].

აღნიშნული ტენდენციები განპირობებულია ჰოსპიტალურ სექტორში ტექნიკური პროგრესის განსაკუთრებული ხასიათით: ახალი სამედიცინო ტექნოლოგიები იშვიათად განაპირობებენ შრომითი რესურსების ეკონომიას. ხშირად ისინი მოითხოვენ ახალი კატეგორიის მედიცინის მუშაკთა მოზიდვას, რაც ზრდის ჰოსპიტალიზაციის თითოეულ შემთხვევაზე რესურსების გაჯერებას. ბრიტანეთში ჰოსპიტალიზაციის 1 დღე დაახლოებით 500 დოლარს შეადგენს, ხოლო აშშ-ში ზოგ საავადმყოფოში იგი 2000 დოლარს აჭარბებს.

საავადმყოფოს ეკონომიკური სტატუსი

ეკონომიკური სტატუსის მიხედვით, საავადმყოფოები იყოფა სამ ჯგუფად: სახელმწიფო, კერძო არაკომერციული და კერძო კომერციული. ჯანდაცვის საბიუჯეტო სისტემის ქვეყნებში (დიდი ბრიტანეთი, სკანდინავიის ქვეყნები, ირლანდია, იტალია, ესპანეთი, ჰორტუგალია) სახელმწიფო საავადმყოფოების წილი შეადგენს საერთო საწოლთა ფონდის 70-95%-ს. სავალდებულო სამედიცინო დაზღვევის სისტემის ქვეყნებში ეს წილი შედარებით მცირეა, თუმცა მაინც მეტი წილი უკავია, მაგალითად, საფრანგეთში საწოლთა 65% სახელმწიფო საავადმყოფოებშია განთავსებული, გერმანიაში – 55%, ბელგიაში – 60%. ქვეყნებში, სადაც უფრო მეტად კერძო სამედიცინო დაზღვევაა განვითარებული, მაგალითად, აშშ, შედარებით დიდია კერძო საავადმყოფოების წილი (კომერციული და არაკომერციული) – საწოლთა ფონდის 70-80%-მდე (Cutler, 2002) [5].

საავადმყოფოს თითოეულ სახეს აქვს მრავალი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა. მაგალითად, სახელმწიფო საავადმყოფოებს შეიძლება მართავდნენ სახელმწიფო მართვის ორგანოები ან შეიძლება იყოს შედარებით დამოუკიდებელი. 1990-იან წლების ბოლოს მსოფლიო ბანკმა შემოგვთავაზა სხვა ტიპოლოგია, რომლის მიხედვით სამედიცინო ორგანიზაციები იყოფა საბიუჯეტო, ავტონომიურ და კორპორატიულ სახეებად (Preker & Harding, 2003) [6].

ავტონომიურ ორგანიზაციაში მენეჯერებს აქვთ გადაწყვეტილებების მიღების სრული უფლებამოსილება. დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტით. სამედიცინო ორგანიზაციებს აქვთ ქონების განკარგვის სრული უფლება. ავტონომიური ორგანიზაცია, უმთავრესად, ფორმირდება ტრადიციული საბიუჯეტო ორგანიზაციის სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმად გარდაქმნის გზით – ტრასტები (დიდი ბრიტანეთი, იტალია), არაკომერციული ორგანიზაციები (ესპანეთი), საზოგადოებრივი სახელმწიფო ორგანიზაციები (ლიტვა).

კორპორატიული ორგანიზაციები გამოდიან დამოუკიდებელი სუბიექტის – კორპორაციის ფორმით, რომლებიც მოქმედებენ მენარმეობის ზოგადი წესების მიხედვით. სახელმწიფო რჩება კორპორაციის ქონების მესაკუთრედ და მართავს მის საქმიანობას მმართველობით ორგანოში მისი წარმომადგენლების სახით. ორგანიზაცია იღებს საკუთარ ვალდებულებებზე სრულ ეკონომიკურ პასუხისმგებლობას. არსებითად, იგი სახელმწიფო საწარმოს მოდელია. ავტონომიურ ორგანიზაციასთან შედარებით, აქ შემოსავლების გამოყენების უფრო მეტი უფლებებია და ვალდებულებებზე უფრო მეტი პასუხისმგებლობაა. სახელმწიფო გამოდის კორპორაციის მფლობელის როლში და ცდილობს სამედიცინო ორგანიზაციის საქმიანობაზე სტრატეგიული კონტროლის შენარჩუნებას, თუმცა სამედიცინო ორგანიზაციას უტოვებს მიმდინარე სამეურნეო გადაწყვეტილებების მიღების თავისუფლებას. კორპორაციების ყველაზე ცნობილ მაგალითებს წარმოადგენენ შვეციის, დანიის, ახალი ზელანდიის, ისრაელის სახელმწიფო კორპორაციები ჰოსპიტალურ სექტორში.

ბევრი ქვეყანა 1990-იან წლებში შეეცადა სახელმწიფო საავადმყოფოებისთვის მიენიჭებინა მეტი ავტონომია სხვა ფორმის სახელმწიფო ორგანიზაციებად გარდაქმნის გზით. ყველაზე ცნობილ ფორმას წარმოადგენს სახელმწიფო ორგანიზაციების გარდაქმნა ტრასტებად. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში 1990-იანი წლების დასაწყისში პრაქტიკულად ყველა სახელმწიფო საავადმყოფო გარდაიქმნა ჯანდაცვის ნაციონალური სამსახურის ტრასტებად. ტრასტებმა საკონტრაქტო ურთი-

ერთობები დაამყარეს სამედიცინო მომსახურების მყიდველებთან, კერძოდ, სახელმწიფო მართვის ორგანოებთან და მსხვილ ზოგად საექიმო პრაქტიკებთან.

ავტონომიზაციის სხვა ფორმას წარმოადგენს საბიუჯეტო სამედიცინო ორგანიზაციების გარდაქმნა ჯანდაცვის საზოგადოებრივ ორგანიზაციებად. ასეთი გარდაქმნა განხორციელდა ლიტვაში. ლიტვაში ჯერ მიიღეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ კანონი (1996 წ), რომელმაც დაადგინა ასეთი ორგანიზაციების ძირითადი ნიშნები: შემოსავალი ფორმირდება შემკვეთებთან ხელშეკრულების საფუძველზე; მოგება არ წარმოადგენს საქმიანობის მიზანს, იგი არ მიაქვს დამფუძნებელს, არამედ მიემართება სამედიცინო საქმიანობის განვითარებაზე. 1997 წელს მიღებულ იქნა კანონი საბიუჯეტო ორგანიზაციების საზოგადოებრივად რეორგანიზაციის კანონი.

ბევრ ქვეყანაში წარმოდგენილია საავადმყოფოების მესაკუთრეობისა და ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმების მრავალფეროვნება. სამედიცინო ბაზრის თავისებურებების გათვალისწინებით, ბევრი ქვეყანა დგას კერძო და სახელმწიფო საავადმყოფოების ოპტიმალური თანაფარდობის რთული არჩევანის წინაშე. ერთი მხრივ, კერძო კომერციულ საავადმყოფოებს შეუძლიათ საბაზრო ცვლილებებზე ოპერატიულად რეაგირება, რადგან მათი მიზანია მოგების მიღება. როდესაც შექმნილია აუცილებელი სტიმულები, რომლებიც გავლენას ახდენენ კერძო კომერციული საავადმყოფოს გადაწყვეტილებებზე სერვისების მოცულობასთან და ხარისხთან მიმართებით, მაშინ შესაძლებელია სერვისების მიწოდების ფუნქციის გადაცემა კერძო კომერციულ სექტორზე. მეორე მხრივ, ინფორმაციის ასიმეტრიის არსებობა კომერციულ საავადმყოფოებს შესაძლებლობას აძლევს გაზარდონ სერვისის მოცულობა ან ფასი, აგრეთვე შეამცირონ ხარისხი. დაბალშემოსავლიანი ქვეყნები უპირატესობას ანიჭებენ კერძო არაკომერციულ საავადმყოფოებს, თუნდაც ტექნიკურად ნაკლებად ეფექტიანს.

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ საავადმყოფოს ორგანიზაციის ამა თუ იმ ფორმის განვითარება განპირობებულია სხვადასხვა ქვეყანაში კომერციული საავა-

დემოფოს როლზე ისტორიულად ჩამოყალიბებული წარმოდგენებით. ასე მაგალითად, აშშ-ში ჯანდაცვის სფეროში თავიდანვე საბაზრო ურთიერთობები ჩამოყალიბდა, ამიტომ აქ დომინირებდნენ კომერციული საავადმყოფოები. ევროპაში მთავარი როლი ისტორიულად სახელმწიფო ორგანიზაციებს ეკუთვნოდათ. მხოლოდ 1980-1990-იანი წლებიდან ბევრმა ევროპულმა ქვეყანამ მიმართა ავტონომიურ ორგანიზაციულ ფორმებს.

საავადმყოფოს ხარჯები

მოკლევადიან პერიოდში საავადმყოფოს ხარჯები – სანოლთა რაოდენობა (საავადმყოფოს სიმძლავრე), მატერიალური მარაგები, მოწყობილობა – ძირითადად მუდმივი ხარჯებია. პაციენტების რაოდენობის შემცირება განაპირობებს საშუალო ხარჯების შემცირებას. გრძელვადიან პერიოდში ყველა ხარჯები ცვლადია. საავადმყოფოს ადმინისტრაციამ შეიძლება დაიქირავოს ექიმების დიდი რაოდენობა, მოახდინოს დამატებით სანოლთებში ან ძვირადღირებულ მოწყობილობა-დანადგარებში ინვესტირება. პაციენტების ნაკადის პროგნოზირების დროს საავადმყოფოს შეუძლია საშუალო ხარჯების მინიმიზება. როდესაც მოსალოდნელია 150 პაციენტის ყოველდღიური მიღება, საჭიროა საშუალო მოცულობის საავადმყოფო, 300 პაციენტზე საჭიროა დიდი საავადმყოფო აშენება. ამგვარად, მოთხოვნის ყოველ მოსალოდნელ დონეზე ადმინისტრაციას შეუძლია განსაზღვროს საავადმყოფოს მოცულობა (სიმძლავრე), აგრეთვე სამედიცინო პერსონალის რაოდენობა, მინიმიზებული საშუალო ხარჯები.

საავადმყოფოს მოცულობის დამოკიდებულება ხარჯებზე თეორიულად განიხილება U ფორმის მრუდით. საავადმყოფოს მოცულობის ზრდისას საშუალო ხარჯები მცირდება განსაზღვრულ მინიმუმამდე, რომლის შემდეგ ისევ იზრდება. სამედიცინო სერვისების მოცულობის ზრდისას შესაძლებელია ექიმების შრომის სპეციალიზაციის ზრდა და მაღალტექნოლოგიურ მოწყობილობებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. საავადმყოფოებს, ასევე, შესაძლებლობა ექნებათ შემცირებულ ფასად შეისყიდონ დიდი მოცულობით მოწყობილო-

ბები. მაგრამ საავადმყოფოს მოცულობის ზრდასთან ერთად იზრდება ორგანიზაციის კოორდინაციაზე და მმართველობით კონტროლზე ხარჯები.

მიუხედავად იმისა, რომ მასშტაბი ზოგადად ასოცირდება უფრო მაღალ პროდუქტიულობასთან, გარკვეულ მასშტაბს ზევით არაეკონომიურია. რაღაც მომენტში, საშუალო ხარჯები იწყებს ზრდას ზომასთან ერთად, რადგან დამატებითი ხარჯები წარმოქმნის მასშტაბის არაეკონომიურობას. ამგვარად, შესაძლოა, ეკონომიკურად გონივრული იყოს საავადმყოფოს ზომისა და მოცულობის გაფართოება არსებული გამოცდილების, ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობის უკეთ გამოსაყენებლად. თუმცა, რაღაც მომენტში, საავადმყოფო შორდება ეფექტიანობის ოპტიმალურ დონეს და იწყებს მასშტაბის არაეკონომიურობის გამოვლენას. ასევე, მცირე საავადმყოფოებიც შეიძლება იყოს არაეფექტიანი, რადგან ფიქსირებული ინფრასტრუქტურული და ადმინისტრაციული ხარჯები ნაწილდება ძალიან მცირე რაოდენობის შემთხვევებზე, რითაც იზრდება საავადმყოფოში ვიზიტის საშუალო ღირებულება. ამ მხრივ, ჩატარებული კვლევები აჩვენებენ, რომ მასშტაბის უარყოფითი ეფექტი, არაეკონომიურობა მოსალოდნელია დაახლოებით 200 სანოლზე ნაკლები და 600 სანოლზე ზემოთ (Roh და სხვ. 2010) [7].

ეკონომიის მასშტაბის არსებობა კონკურენციის ინტენსივობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია. როდესაც ეკონომია რეალურად არსებობს, კონკურენციის საზღვრები იზღუდება. ამიტომ მნიშვნელოვანია დავადგინოთ ამ ეკონომიის საზღვრები ჯანდაცვის სექტორისათვის. ამ დროს საჭიროა გავიგოთ, რამდენად არის სამედიცინო სერვისების მიმწოდებლების ბაზრის სტრუქტურა ბუნებრივი მონოპოლია, სადაც მხოლოდ მსხვილ საავადმყოფოებს შეუძლიათ მიაღწიონ სერვისების ეფექტიან მოცულობას, ან ბაზრის სტრუქტურა უფრო მრავალფეროვანია, სადაც შესაძლებელია დიდი რაოდენობით პატარა საავადმყოფოების არსებობა.

ამასთან, მნიშვნელოვანია გავიგოთ, რომ მოცულობისა და ხარჯების ეს თანაფარდობა არაერთმნიშვნელოვანია, ისევე როგორც ეკონომიის მასშტაბის არსებობაზე დასკვნა. როგორც კვლევები ადასტურებს, ჯანდაცვაში

არსებობს მასშტაბის ეკონომია, მაგრამ იგი მნიშვნელოვნად დაბალია (11-14%), ვიდრე ეკონომიკის სხვა დარგებში (60-95%) (Eastaugh, 2004) [8].

საავადმყოფოები არ არიან ერთგვაროვანი ნამკურნალები პაციენტების შემადგენლობის, განუვლი სერვისების სირთულის, ექიმების სწავლებაზე განუვლი ხარჯების სამეცნიერო კვლევების მოცულობის (ზოგი საავადმყოფო ერთდროულად ასრულებენ როგორც სასწავლო, ასევე კვლევითი ცენტრის ფუნქციებს) მიხედვით.

ერთმანეთს შევადაროთ ორი საავადმყოფო: საავადმყოფო B-ში საწოლთა რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე საავადმყოფო A-ში, მაგრამ, ამასთან, პაციენტებს საავადმყოფო B-ში აქვთ დაავადების უფრო რთული სტრუქტურა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ საავადმყოფოში საშუალო ხარჯები უფრო მაღალი იქნება, შესაბამისად, იგი ნაკლებად ეფექტიანია. მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი დასკვნა არ შეესაბამება ქვშმარიტებას. საავადმყოფოს მოცულობის ხარჯებზე გავლენის შესაფასებლად გამოიყენება მრავალი პარამეტრი: საავადმყოფოს მოცულობა, დაავადებების სტრუქტურა, მკურნალობის პროცესის ხარისხი, დაავადების სიმძიმე, ექიმთა ანაზღაურებებს შორის განსხვავებები, ექიმთა ტრენინგების ხარჯები. ამ მიმართულებით ემპირიული კვლევები დაკავშირებულია გარკვეულ შეზღუდვებთან როგორც მონაცემების, ასევე ადეკვატური ინდიკატორების და ტექნიკური მხრიდან. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში მრავალი კვლევა ადასტურებს ეკონომიის მასშტაბის არსებობას, თუმცა არცთუ ისე მნიშვნელოვანია, იმ საავადმყოფოებისათვის, რომლის მოცულობაა 200-300 საწოლი. ეკონომიის უმნიშვნელო საშუალო პროცენტი ამართლებს მიმწოდებელთა ბაზარზე კონკურენციის არსებობას.

ერთი შეხედვით, საავადმყოფო A-ში, რომელიც ახდენს მცირე რაოდენობის სამედიცინო სერვისების მიწოდებას, საშუალო ხარჯები უფრო ნაკლებია, ვიდრე საავადმყოფო B-ში, შესაბამისად საავადმყოფო A თითქოს უფრო ეფექტიანია. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ მრავალ ფაქტორს, რომლებიც გავლენას ახდენს საავადმყოფოს გრძელვადიან ხარჯებზე, ანუ თუ შევადარებთ მოკლევადიან

და გრძელვადიან ხარჯებს, შეიძლება ვნახოთ, რომ საავადმყოფო B უფრო ეფექტიანია, რადგან სერვისებს აწარმოებს მინიმალური გრძელვადიანი საშუალო ხარჯებით.

ამგვარად, დაბალი საშუალო ხარჯები თავისთავად არ წარმოადგენს საავადმყოფოს უფრო მაღალი ეფექტიანობის ინდიკატორს. საავადმყოფოს ეფექტიანობაზე გავლენას ახდენს სხვა ფაქტორებიც. ამიტომ აუცილებელია ეკონომიის მასშტაბის არსებობის ემპირიული შეფასება ადგილობრივ ბაზარზე მოქმედ თითოეულ საავადმყოფოში შემთხვევის სტრუქტურის თავისებურებების გთვალისწინებით. აღნიშნული ეხება მასშტაბის ეკონომიას არამარტო ხარჯებისათვის, არამედ სერვისების ხარისხისათვის. მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ სამედიცინო მომსახურების ხარისხი ხშირად განისაზღვრება საავადმყოფოების სპეციალიზაციის დონის ამაღლებით. რაც უფრო მეტია სამედიცინო სერვისების სახეების მოცულობა, მით მეტია მკურნალობის შედეგები. აუცილებელია, ასევე, გავითვალისწინოთ მასშტაბის ეკონომიის შესაძლებლობა შედარებით მცირე სამედიცინო ორგანიზაციებში და ცალკეულ ქვეგანყოფილებებში. მაგალითად, დიდმა საავადმყოფომ სპეციალიზაციის დიდი ნაკრებით შესაძლებელია ვერ უზრუნველყოს მასშტაბის ეკონომია, მაშინ როდესაც ცალკეულმა ქვეგანყოფილებამ, შესაძლოა უზრუნველყოს ასეთი ეკონომია – კარგად ათვისებული სამედიცინო ტექნოლოგიების ტირაჟირების ძალით. ასევე, გასათვალისწინებელია მასშტაბის (სერვისების მოცულობის ზრდა) ეფექტის სხვადასხვა გავლენა მკურნალობის ხარისხზე სხვადასხვა სპეციალიზაციისა და სერვისების სახეებისათვის. ასე მაგალითად, სერვისების მოცულობის ზრდა მნიშვნელოვნად ზრდის ღია გულზე ოპერაციების ხარისხს, მაგრამ პრაქტიკულად არ ცვლის ქოლესტეროლემიის ხარისხს.

კომერციული და არაკომერციული საავადმყოფოების ქცევა სამედიცინო ბაზარზე

საავადმყოფოს სტატუსი განისაზღვრება მიზნობრივი ფუნქციის მიხედვით, რომელიც

თავის მხრივ, დაკავშირებულია საავადმყოფოს სტატუსთან. კომერციული საავადმყოფო ახდენს მოგების მაქსიმიზებას, მაშინ როდესაც არაკომერციულმა საავადმყოფომ თავის ფუნქციაში შესაძლოა ჩართოს სხვა ფაქტორებიც, მაგალითად სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მომსახურება, ისეთი სერვისების განწევა, რომლებსაც აქვთ საზოგადოებრივი სარგებლები, კომერციულად არარენტაბელურ სფეროებში კვლევების ჩატარება.

კომერციული და არაკომერციული საავადმყოფოების ქცევების შეფასება განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

საავადმყოფოს სიმძლავრე განისაზღვრება საწოლთა რაოდენობით. ჰოსპიტალიზაციის რაოდენობა განისაზღვრება საწოლთა რაოდენობასთან პროპორციაში. კომერციული საავადმყოფო-მონოპოლისტისთვის საწოლების ოპტიმალურ რაოდენობა დაბალია, ვიდრე კომერციული საავადმყოფოსთვის მონოპოლისტური კონკურენციის ბაზარზე, რაც თავის მხრივ, უფრო დაბალია, ვიდრე არაკომერციული საავადმყოფოს ოპტიმალური მოცულობა. არაკომერციული საავადმყოფოს მიერ დადგენილი ფასი უფრო დაბალია კომერციული საავადმყოფოს ფასთან შედარებით.

საავადმყოფოების კონკურენციის თეორიული მოდელები

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებს შორის ურთიერთობა ხდება ბაზრის არსებული და ცვალებადი სტრუქტურის ფარგლებში. საბაზრო სტრუქტურას განსაზღვრავს: მასშტაბის ეკონომია, სერვისების დიფერენციაციის ხარისხი, ჰოსპიტალური სერვისების შემცველების არსებობა, ბაზარზე შესვლის და გამოსვლის ბარიერები. რაც უფრო ფართოა ბაზრის საზღვრები, მით მეტ საავადმყოფოებს შეუძლიათ კონკურენცია. და პირიქით, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის საზღვრებში საავადმყოფოების არარსებობის დროს საავადმყოფო ღებულობს საბაზრო ძალას.

კვლევები ადასტურებს საავადმყოფოს გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის ფაქტორის მნიშვნელობას ბაზრის სტრუქტურაში. ერთი კვლევის მიხედვით, საავადმყოფომდე მანძილის 10%-ით შემცირება 13-14%-ით ზრდის მის

სერვისებზე მოთხოვნას (Henderson, 2005) [9]. ამასთან, გარკვეულ სპეციალიზებულ სერვისებზე ბაზარი შეიძლება გამოვიდეს ლოკალური საზღვრებიდან, რადგან პაციენტები მზად არიან გადალახონ მნიშვნელოვანი დაშორება მკურნალობის სპეციფიკური სახის მისაღებად.

ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიის მიხედვით, კონკურენცია განაპირობებს ეფექტიან ეკონომიკურ შედეგებს. სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთა სერვისები ძლიერ განსხვავდება სხვა სერვისებისგან. ინფორმაციული ასიმეტრიის და მოთხოვნის წარმოშობის გაურკვევლობის გამო, კონკურენციის შესაძლებლობები და შედეგები ჯანდაცვაში შეიძლება განსხვავდებოდეს ეკონომიკის სხვა სფეროებისგან.

საავადმყოფოებს შეუძლიათ კონკურენცია ორ დონეზე:

- კონკურენცია სერვისების ინდივიდუალურ მომხმარებელზე;
- კონკურენცია სერვისების კოლექტიურ მყიდველზე – სადაზღვევო კომპანიები.

საავადმყოფოებს შორის კონკურენცია შეიძლება განხორციელდეს როგორც ფასების, ასევე, სამედიცინო მომსახურების ხარისხის მიხედვით. საავადმყოფოების კონკურენციის დადებითი ეფექტების უზრუნველსაყოფად მთავარი პირობაა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა სისტემის ყველა დაინტერესებული რგოლისათვის ორი პარამეტრის მიხედვით:

- რესურსების ეფექტიანი გამოყენება;
- მიწოდებული სერვისების ხარისხი.

როდესაც საავადმყოფოების კონკურენციის ობიექტია სერვისების კოლექტიური მყიდველი, კონკურენცია ხელს უწყობს საავადმყოფოების მიერ რესურსების უფრო ეფექტიან განაწილებას და გამოყენებას. მოცემულ შემთხვევაში სერვისების მყიდველი თავისი მოცულობის გამო (მაგალითად, დიდი სადაზღვევო კომპანია) ფლობს შედარებით მაღალ (ინდივიდუალურ მყიდველებთან შედარებით) ძალას, და შედეგად, უფრო ძლიერ გავლენას ახდენს ხარჯებსა და სერვისების არაფასის მიერ პარამეტრებზე.

კონკურენციის ეფექტიანობა დამოკიდებულია დაზღვევის სისტემის ორგანიზაციაზე – ჰოსპიტალური და სადაზღვევო სერვისების საბაზრო სტრუქტურაზე, შერჩეულ საავადმყოფო

ფოტოტან თავისუფალ კონტრაქტირებაზე. საავადმყოფოების მოცულობის გამსხვილებამ (მათი შერწყმით), რომელიც განაპირობებს მასშტაბის ეკონომიას და უზრუნველყოფს მკურნალობის ხარისხის შედარებით მაღალ მაჩვენებლებს, შეიძლება გამოიწვიოს საბაზრო პოზიციის გაძლიერება. ამ დროს ფართოვდება საავადმყოფოს შესაძლებლობა, რომ თავისი პირობები წაუყენოს სადაზღვევო კომპანიას ჰოსპიტალური სერვისების ფასებთან დაკავშირებით. როდესაც ლოკალურ ბაზარზე მოქმედებენ დიდი რაოდენობით საავადმყოფოები, მათი შესაძლებლობები, რომ თავისი პირობები წაუყენონ ძლიერ სადაზღვევო კომპანიას, არსებითად მცირდება.

კონკურენციის ეფექტიანობაზე, ასევე, გავლენას ახდენს ჰოსპიტალური სერვისების ანაზღაურების მეთოდები.

საავადმყოფოების ანაზღაურება შეიძლება ეფუძნებოდეს ორ მიდგომას. რეტროსპექტული ანაზღაურება გულისხმობს განუღი მომსახურების ფაქტური მოცულობის მიხედვით ანაზღაურებას, სადაც დამფინანსებლის როლი მინიმალურია. თუმცა, მყიდველს შეუძლია ჰოსპიტალური შემთხვევების კონტროლი. მეორე მიდგომა გულისხმობს სამედიცინო სერვისების ანაზღაურებას პროსპექტული მეთოდით, სადაც ანაზღაურება განუღი მომსახურების წინასწარ შეთანხმებული მოცულობის მიხედვით ხორციელდება.

სამედიცინო ბაზარზე კონკურენციის ეფექტიანობის ფაქტორები

კონკურენციის თეორიული ასპექტების საფუძველზე შეიძლება ფაქტორების სისტემატიზება, რომლებიც გავლენას ახდენენ საავადმყოფოების კონკურენციის შედეგებზე.

ინსტიტუციონალური გარემოს ფაქტორები. მკურნალობის ხარისხზე (სიკვდილიანობის, განმეორებითი ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები) და საშუალებების ეფექტიანი გამოყენების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა არის უმთავრესი ფაქტორი სამედიცინო მომსახურების მყიდველისა და მომხმარებლის მიერ რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად. ინფორმაციის სიმწირე აისახება კონტრაქტების არასრულყოფილებაზე, ასევე,

განაპირობებს მაღალ ტრანზაქციულ ხარჯებს, რაც ამცირებს კონკურენციას. კონკურენციის პირობებში ხარისხის ზრდას ხელს უწყობს სახელმწიფო რეგულირება ისეთ სფეროებში, როგორცაა: ლიცენზირება, ხარისხის სტანდარტების დადგენა, საავადმყოფოს საქმიანობაზე ინფორმაციის უზრუნველყოფა.

ადგილობრივი ბაზრების თავისებურებები. ეკონომიის მასშტაბის ემპირიულად დასაბუთებული არსებობა ზღუდავს კონკურენციის შესაძლებლობებს. როდესაც საავადმყოფოს დიდი ზომა, ანუ ბაზარზე კონცენტრაცია, სერვისებზე უფრო დაბალი ხარჯების შესაძლებლობას იძლევა, საავადმყოფოების რაოდენობის ზრდა არაეფექტიანია. ამასთან, რაც უფრო დიდია საავადმყოფო, მით მეტია წარმოებული სერვისების მოცულობა, ხოლო მკურნალობის ბევრი სახეობის ხარისხი დამოკიდებულია ექიმების გამოცდილებაზე და ჩატარებული პროცედურების რაოდენობაზე. ამ შემთხვევაში საავადმყოფოების რაოდენობის გაფართოება ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით არ არის გამართლებული. როდესაც მზარდი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად არსებობს საავადმყოფოების გაფართოების საჭიროება (სიტუაციაში, როდესაც მოთხოვნა აღემატება მიწოდებას) იზრდება ხარისხის და ფასის მიხედვით კონკურენციის შესაძლებლობა.

საავადმყოფოების დამოკიდებულება სამედიცინო მომსახურების მყიდველებთან. დაინტერესებული, სამედიცინო მომსახურების კარგად ინფორმირებული მყიდველი არის საავადმყოფოს მიერ სერვისების მოცულობაზე და ხარისხზე მისაღებ გადაწყვეტილებებზე მოქმედი უმთავრესი ფაქტორი. რაც უფრო მაღალია მყიდველის ძალა, მით ძლიერია მყიდველის გავლენა სერვისების ხარისხზე და ხარჯებზე. მყიდველის საავადმყოფოზე გავლენის სხვა საშუალებაა ანაზღაურების მეთოდი. წინასწარ შეთანხმებული, პროსპექტული დაფინანსებისას იქმნება ხარჯების შეკავების დამატებითი სტიმულები, საავადმყოფოები ერთმანეთს უწევენ ფასის მიხედვით კონკურენციას, მაშინ როდესაც რეტროსპექტული ანაზღაურების მეთოდები არ ქმნის ეფექტიანობის გაზრდის მოტივაციას. საავადმყოფოს საქმიანობაზე კოლექტიურ მყიდველის გარდა გავლენას ახდენს სამედი-

ცინო მომსახურების ინდივიდუალური მომხმარებელი, რომელიც ახდენს საავადმყოფოს რაციონალურ არჩევანს ფასისა და ხარისხის მიხედვით. სავალდებულო დაზღვევის დროს მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით ნულის ტოლია. ამ დროს საავადმყოფომ შეიძლება გაზარდოს თავისი სერვისების ხარჯები. როდესაც მომხმარებელი სერვისების ნაწილზე თვითონ იხდის საკუთარი ხარჯებით, მოთხოვნის ელასტიკურობა ფასის მიხედვით გაიზრდება, ხოლო საავადმყოფოს კონკურენცია ფასის მიხედვით ხდება უფრო ქმედითი, რადგან მიიზიდავს პაციენტების დიდ რაოდენობას.

გარე პირობების ცვლილებაზე საავადმყოფოს რეაქცია. საავადმყოფოს ქცევა განპირობებულია შიდა მოტივაციით, რომელიც დამოკიდებულია ეკონომიკურ სტატუსზე. როდესაც საავადმყოფოს აქვს გადანყვეტილებების მიღებაზე დიდი უფლებამოსილებები, კონკურენცია ხელს უწყობს ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდის გზების ძიებას. კომერციული საავადმყოფო უფრო მეტად იქნება კონცენტრირებული ხარჯების შეკავებაზე, ხოლო არაკომერციული საავადმყოფო – ხარისხის ზრდაზე.

**საავადმყოფოს ფუნქციონირების ეპირიული შეფასებები
სამედიცინო მომსახურების მოცულობა და მკურნალობის ხარისხი**

ცნობილია, რომ მედიცინაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ექიმების კლინიკური პრაქტიკის გამოცდილებას და უნარებს. მაგალითად, ღია გულზე ოპერაციები ნებადართულია მხოლოდ იმ საავადმყოფოებში, რომლებსაც შეუძლიათ ჩაატარონ მსგავსი ოპერაციების დადგენილი მინიმუმი. მსხვილ საავადმყოფოებს ადვილად შეუძლიათ ამ მინიმუმის მიღწევა. უფრო მეტად კონცენტრირებულ საავადმყოფოებში, სადაც დომინირებენ მსხვილი საავადმყოფოები (ნაკლებად კონკურენციულ ბაზრებში) და მოცულობა უზრუნველყოფს ხარისხს, შესაძლებელია უკეთესი კლინიკური შედეგების მიღწევა. კვლევები ადასტურებს, რომ კარდიოლოგიური ოპერაციების კუმულაცი-

ური რაოდენობა (მოცემულ პერიოდში მისი ზრდა) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შედეგების მაჩვენებლებზე (ლეტალობა და გართულებები). ასევე, მოცულობის გავლენას ხარისხზე ადასტურებს კვლევები, რომელთა მიხედვით, იმ საავადმყოფოებში, სადაც ოპერაციების რაოდენობა დიდია, სიკვდილობა მნიშვნელოვნად მცირეა (Welke et al., 2008; [10] Lee et al., 2015 [11]).

საავადმყოფოების კონკურენცია და წარმოების ხარჯები

გარკვეული კვლევები ადასტურებს, რომ როდესაც საავადმყოფოები ფინანსდება რეტროსპექტული მეთოდით (ფაქტიური ხარჯებით) კონკურენცია განაპირობებს სერვისების მოცულობის, ხარჯების და ფასების ზრდას (Krabbe-Alkemade, et al., [12] 2017; Fournier & Mitchell, 1992 [13]). თუმცა, არის კვლევები, რომელთა მიხედვით კონკურენცია ამცირებს ხარჯებს და ფასებს (Connor et al., 1998; [14] Dranove et al., 1993; [15] Proppe & Söderlund, 1998; [16] Dranove & Satterthwaite 2016 [17]). გარდა ამისა, კონკურენცია ზრდის ძვირადღირებული ტექნოლოგიების ფართოდ გავრცელებას და გამოყენებას (Deng & Pan, 2019). [18]

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლების კონკურენციის ყველაზე გავრცელებული მაჩვენებლებია:

- ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი (Herfindahl-Hirschman Index), რომელიც გამოითვლება საავადმყოფოს მოცულობის (საწოდების რაოდენობა, კაპიტალური ხარჯების დონე) საფუძველზე ქვეყნის ან რეგიონის ფარგლებში. აშშ-ში ფედერალურმა სავაჭრო კომისიამ განსაზღვრა ბაზრის კონცენტრაციის ხარისხის შემდეგი კრიტერიუმები: HHI < 1000 – არაკონცენტრირებული ბაზარი, 1000 < HHI < 1800 – საშუალო კონცენტრაცია, HHI > 1800 – მაღალი კონცენტრაცია. ყველაზე მაღალი ინდექსი 10000 – შეესაბამება მონოპოლიას;
- ექიმების რაოდენობა ერთ საავადმყოფოზე გათვლით ქვეყანაში/რეგიონში;
- ჰოსპიტალიზაციის წილი საავადმყოფოს გათვლით ქვეყანაში/რეგიონში.

საავადმყოფოების კონკურენცია განისაზღვრება ბაზრის სტრუქტურით, რომელიც განპირობებულია ამ ბაზრის მოსახლეობის საზღვრებითა და მახასიათებლებით. ამიტომ კონკურენციის გაზომვას აზრი აქვს მხოლოდ ლოკალური ბაზრის საზღვრების სწორი ანალიზის და შეფასების დროს.

საავადმყოფოების დაფინანსების ნორმატიული მეთოდების შემოღებისა და სამედიცინო მომსახურების შეთანხმებული მოცულობების განსაზღვრის შედეგად აშშ-ში 1990-იანი წლების დასაწყისში კონკურენცია დაკავშირებული იყო შედარებით დაბალ ხარჯებთან და ფასებთან. (Fulton, 2017) [19].

საავადმყოფოების კონკურენცია, მკურნალობის ხარჯები და ხარისხი

კვლევები ადასტურებს, რომ ხარისხის მიხედვით საავადმყოფოების კონკურენციის პირობებში ხდება ძვირადღირებული სერვისების ინტენსიფიკაცია, რაც განაპირობებს ხარჯებისა და ფასების ზრდას (Strumann et al., 2022) [20]. აშშ-ში სამედიცინო ბაზარზე ასეთი სახის კონკურენციას, რომელიც იწვევს ხარჯების ინფლაციას, უწოდებენ „გამალებულ სამედიცინო შეიარაღებას“ (medical arms race). ამასთან, სერვისების ზედმეტმა დუბლირებამ და ინტენსიფიკაციამ შეიძლება შეამციროს პაციენტის მკურნალობის შედეგიანობა, რადგან საავადმყოფოები ვერ ასწრებენ ინვესტირებას მკურნალობის უფრო ეფექტიანი მეთოდების კვლევებში.

მკურნალობის ხარჯებზე და ხარისხზე საავადმყოფოების კონკურენციის გავლენის შეფასებისას, კვლევებით მიღებულ იქნა არაერთგვაროვანი შედეგები. აშშ-ში 1990-იან წლებამდე მაღალი კონკურენცია არაეფექტიანი იყო, რადგან ზრდიდა საავადმყოფოების ხარჯებს, ხოლო მკურნალობის შედეგებზე არსებით გავლენას არ ახდენდა (მაგალითად, მიოკარდიუმის ინფარქტით ლეტალობის მაჩვენებელი არ შემცირებულა).

აშშ-ში 1990-იან წლებში კონკურენციის პირობები არსებითად შეიცვალა მართული ჯანდაცვის სადაზღვევო სქემების გაჩენის შედეგად. ამ პერიოდში შემოღებულ იქნა საავადმყოფოების პროსპექტული ანაზღა-

ურების მეთოდებით დაფინანსება, რაც გულისხმობს სამედიცინო სერვისების დაფინანსებას არა ფაქტიური ხარჯების, არამედ წინასწარ დადგენილი ფასების მიხედვით. ამასთან, ძვირადღირებული რესურსების გამოყენებაზე დადგინდა უფრო მკაცრი მოთხოვნები. 1990-იანი წლების შემდეგ პერიოდში მაღალი კონკურენცია განაპირობებდა ხარჯების შემცირებას და ხარისხის ამაღლებას. შესაბამისად, კონკურენცია გახდა საავადმყოფოს ფუნქციონირებაზე გავლენის სასარგებლო მექანიზმი.

დიდ ბრიტანეთში, 1991 წლიდან დაწყებული ჯანდაცვის ეროვნული სამსახურის რეფორმა მიმართული იყო საავადმყოფოების კონკურენციის სტიმულირებისკენ. კვლევები ადასტურებს, რომ ჰოსპიტალურ სერვისებზე ფასი დაბალი იყო იმ რეგიონებში, სადაც შეინიშნებოდა საავადმყოფოებს შორის მაღალი კონკურენცია; ამასთან, რაც უფრო მაღალი იყო სამედიცინო ორგანიზაციის მოცულობა, მით უფრო დაბალი იყო ფასი (Joynt et al., 2011) [21]. სხვა კვლევების მიხედვით, საავადმყოფოებს შორის კონკურენცია ამცირებდა პაციენტის მკურნალობის ხარისხს (Lyon, 1999) [22]. ამგვარად, ამერიკელი მკვლევრები აღნიშნავენ კონკურენციის გავლენას ხარისხზე, ხოლო ბრიტანელი მკვლევრების მიხედვით, კონკურენცია განაპირობებს ფასის მიერ სიგნალის გაძლიერებას. ბრიტანეთში სამედიცინო მომსახურების მყიდველები (მართვის ადგილობრივი ორგანოები) სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებთან მოლაპარაკებების დროს უფრო მეტ აქცენტს აკეთებდნენ ფასების შემცირებაზე, ვიდრე ხარისხზე. კონკურენციის ხარისხზე გავლენის ანალიზის დროს მკვლევრები უფრო მეტად ითვალისწინებდნენ საავადმყოფოს მოცულობას და სტატუსს.

დასკვნა

ემპირიული კვლევები ადასტურებს, რომ სხვადასხვა ფაქტორების გავლენა მკურნალობის ხარისხზე დამოკიდებულია იმ გარემოსა და სტიმულების სისტემაზე, რომლებშიც ფუნქციონირებენ საავადმყოფოები. მყიდველებსა და სამედიცინო მომსახურების მიმწო-

დებლებს შორის ურთიერთობები, რომლებიც ეფუძნება მხოლოდ ფასზე მოლაპარაკებებს, არ განაპირობებს სამედიცინო მომსახურების სათანადო ხარისხის უზრუნველყოფას. საავადმყოფოს მომსახურების რეალურ ღირებულებასთან და მკურნალობის ხარისხთან მიმართებით ინფორმაციული ასიმეტრიის გამო, სამედიცინო მომსახურების მყიდველები გავლენას ვერ ახდენენ ხარჯების შემცირებაზე

და მკურნალობის ხარისხის ამაღლებაზე, რაც ზრდის საავადმყოფოს ძალაუფლებას. ამგვარად, როდესაც ვაფასებთ საავადმყოფოების კონკურენციის გავლენას ხარჯებსა და მკურნალობის ხარისხზე, მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ჯანდაცვაში საბაზრო მექანიზმები ყოველთვის არ ამაღლებს საზოგადოების კეთილდღეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bernet, PM., Singh, S. (2015). Economies of scale in the production of public health services: an analysis of local health districts in Florida. *Am J Public Health*.
2. Giancotti, M., Guglielmo, A., Mauro, M. (2017). Efficiency and optimal size of hospitals: Results of a systematic search. *PLoS One*.
3. OECD Health Data. Version: 2007.
4. OECD Health Data. Version: 2007.
5. Cutler D. (2002). Healthcare and the Public Sector. *Handbook of Public Economies*. Vol.4. Elsevier.
6. Preker, A., Harding, A. (2003). Innovations in Health Service Delivery: The Corporatization of Public Hospitals. World Bank Publications. Washington, D.C.
7. Roh, CY., Moon, MJ., Jung, C. (2010). Measuring Performance of US Nonprofit Hospitals Do Size and Location Matter? *Public Performance & Management Review*. 34(1):22-37.
8. Eastaugh, S.R. (2004). *Health Care Finance and Economics*. Boston: Jones and Barlett Publishers.
9. Henderson, J. (2005). *Health Economics and Policy*. Thomson – South Western.
10. Welke, KF., Diggs, BS., Karamlou, T., Ungerleider, RM. (2008). The Relationship Between Hospital Surgical Case Volumes and Mortality Rates in Pediatric Cardiac Surgery: A National Sample, 1988-2005. *The Annals of Thoracic Surgery*; 86 (3): P889-896.
11. Lee, KC., Sethuraman, K., Yong, J. (2015). On the Hospital Volume and Outcome Relationship: Does Specialization Matter More Than Volume?. *Health Serv Res*. 50(6):2019-2036. doi:10.1111/1475-6773.12302
12. Krabbe-Alkemade, Y.J.F.M., Groot, T.L.C.M. & Lindeboom, M. (2017). Competition in the Dutch hospital sector: an analysis of health care volume and cost. *Eur J Health Econ* 18, 139-153.
13. Fournier, G.M., Mitchell, J.M. (1992). Hospital costs and competition for services: a multiproduct analysis. *Rev. Econ. Stat* 74(4), 627-634.
14. Connor, R.A., Feldman, R., Dowd, B.E. (1998). The effects of market concentration and horizontal mergers on hospital costs and prices. *Int. J. Econ. Bus* 5(2), 159-180.
15. Dranove, D., Shanley, M., White, W.D. (1993). Price and concentration in hospital markets: the switch from patient-driven to payer-driven competition. *J. Law Econ* 36, 179-204.
16. Propper, C., Söderlund, N. (1998). Competition in the NHS internal market: an overview of its effects on hospital prices and costs. *Health Econ*. 7, 187-197.
17. Dranove, D., Satterthwaite, MA. (2016). Chapter 20 the industrial organization of health care markets. *Handb Health Econ*. 1:1093-139.
18. Deng, C., Pan, J. (2019). Hospital competition and the expenses for treatments of acute and non-acute common diseases: evidence from China. *BMC Health Serv Res*. 19, 739.

19. Fulton, BD. (2017). Health care market concentration trends in the United States: evidence and policy responses. *Health Aff.* 36(9):1530–8.
20. Strumann, C., Geissler, A., Busse, R., Pross, C. (2022). Can competition improve hospital quality of care? A difference-in-differences approach to evaluate the effect of increasing quality transparency on hospital quality. *Eur J Health Econ.* 23(7):1229-1242.
21. Joynt, KE., Orav, EJ., Jha, AK. (2011). The association between hospital volume and processes, outcomes, and costs of care for congestive heart failure. *Ann Intern Med.* 18;154(2):94-102.
22. Lyon, T.P. (1999). Quality competition, insurance, and consumer choice in health care markets. *J. Econ. Manag. Str.* 8(4), 546–580.